საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 01 ნოემბერი 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/63

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,3. საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტს, ძირითადი სპეციალობისა და საფაკულტეტო დისციპლინების თანაფარდობა მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და შეისწავლოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით, ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები იმავე მოცულობით. გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელიც არ ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის გავლას.

7. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა საშემსრულებლო მიმართულებით უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო/შემოქმედებით მუშაობას და შესრულებული სამუშაოს ანალიზს. თეორიული მიმართულებით სასწავლო და კვლევით კომპონენტებს."

2. შეტანილ იქნას ცვლილება 2012 წლის 09 ივლისის აკადემიური საბჭოს №134 დადგენილებაში და გაუქმდეს პირველი პუნქტი.

3. გაუქმდეს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლის 24-ე პუნქტის გ) ქვეპუნქტი.

4. გაუქმდეს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორცილების წესის მე-9 მუხლის მეორე პუნქტი.

5. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**